

- 3.7. თამაშის ოქმს მატრის დაწყებამდე ხელს აწერენ გუნდების წარმომადგენლები და მთავარი მსაჯი.
- 3.8. გუნდს უნდა ჰქონდეს ორი მკვეთრად განსხვავებული ფერი ფორმა, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობოს თფფ-ს განაცხადის შეტანის დროს;
- 3.9. ფედერაცია ვალდებულია სტადიონზე იყოლიოს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, მორიგე სამედიცინო დახმარების მანქანა, ასევე უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დამცველთა საჭირო რაოდენობა;
- 3.10. ფესტივალში ნებადართულია ფეხბურთელების მუდმივი ცვლა;
- 3.11. მატრის დაწყების დროს განსაზღვრავს თფფ.

#### 4. გუნდების განაცხადების გაფორმება

- 4.1. გუნდებმა განაცხადები თფფ-ში უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2018 წლის 25 მაისისა.
- 4.2. თითოეული გუნდის განაცხადი დგება ერთ ეგზემპლარად და მასში უნდა იყოს მინიმუმ 12, მაქსიმუმ 15 ფეხბურთელი.
- 4.3. რეგიონებიდან ჩამოსულ გუნდებს განაცხადზე უნდა ჰქონდეთ რეგიონალური ფედერაციის ბეჭედი.
- 4.4. განაცხადთან ერთად გუნდებმა უნდა წარმოადგინონ საგანმანათლებლო სკოლის ცნობა, ასაკის ჩვენებით დამტკიცებული დირექტორის ბეჭდით.
- 4.5. გუნდის განაცხადი დამოწმებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის ბეჭდით.

#### 5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

- 5.1. ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფურ, ხოლო ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით.  
(სამივე ასაკში ზუსტი სისტემის დანართს გუნდებს ვახლებთ კენჭისყრის შემდეგ.)
- 5.2. 2007 – 2008 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი გაიმართება მოედნებზე, რომლის ზომაა 60 მეტრი X 40 მეტრი, კარის ზომა 5მ X 2 მ. 2009 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირი გაიმართება მოედანზე, რომლის ზომაა 40 მეტრი X 25 მეტრი, კარის ზომა 3მ X 2 მეტრი.
- 5.3. 2009 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირში ნებადართულია მეკარის მიერ, პარტნიორისაგან ბურთის ხელში აღება.